



6014/3-77/21 2 15062021



6014/3-77/21
15-06-2021

საქართველოს ეროვნულ ბანკს

სადეპუტატო კითხვა

მოგესალმებით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული, ფინანსური გირაოთი დატვირთული, სესხების მოცულობების და გაცემის თარიღების შესახებ (ჩაშლილი გაცემის თარიღების, სესხის მოცულობის, მიმღები ბანკების და სესხის საინდეტიფიკაციო მაჩვენებლების მიხედვით).

ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული რეფინანსირების სესხების მოცულობების და გაცემის თარიღების შესახებ (ჩაშლილი გაცემის თარიღების, სესხის მოცულობის, მიმღები ბანკების და სესხის საინდეტიფიკაციო მაჩვენებლების მიხედვით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი



N 2-05/1972

1972-05-2-202106291829

29/06/2021



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს;
თბილისი, რუსთაველის გამზირი №8,
ტელ.: (99532)2281679; ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ბატონო ალექსანდრე,

თქვენს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი 2021 წლის 15 ივნისის განცხადების პასუხად, გაცნობებთ რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერიოდულად ეროვნული ბანკის ვებგვერდის სტატისტიკურ მონაცემებში (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>), კერძოდ:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ფაილში სახელით „ცენტრალური ბანკის მიმოხილვა“, მის მეორე ფურცელში (სახელით positions) მოცემულია პუნქტი „მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ“, სადაც მონაცემები ჩაშლილია ინსტრუმენტების მიხედვით თვის ჭრილში. ამ ფაილის ბმულია https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/cental_bank_survey_geo.xlsx.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული 7 დღის ვადიანი რეფინანსირების სესხების მოცულობების და თარიღების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია რეფინანსირების სესხების სპეციალურ ფაილში, ფაილის ბმულია <https://www.nbg.gov.ge/uploads/safinansobazrebi/refinancinggeo.xlsx>

დამატებით, გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში მოთხოვნილი ინფორმაცია თითოეული კომერციული ბანკის დონეზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიზნების, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

